Silknet JSC

Digitally signed by Silknet JSC
Date: 2019.12.17 12:01:05 +04'00'

შეთანხმების აქტი

ქ. თბილისი

ერთი მხრივ, სსიპ მცხეთის მუნიციპალიტეტის სოფელ წეროვნის N2 საჯარო სკოლა(ს/კ 236059251), მისი უფროსის, ეთერი ჩიხლაძის სახით და მეორე მხრივ, სს „სილქნეტი“ (ს/კ 204566978), წარმოდგენილი მისი კორპორატიული გაყიდვების დეპარტამენტის უფროსის მალხაზ ჟორჟიკაშვილის სახით, ვაცხადებთ, რომ ვმოქმედებთ სახელმწიფოებრივი და საზოგადოებრივი მნიშვნელობიდან გამომდინარე, აგრეთვე, ფიჭური სატელეფონო მომსახურების შეუფერხებელი მიწოდების აუცილებლობის გათვალისწინებით, საქართველოს მთავრობის 2018 წლის 30 იანვრის №225 განკარგულების, ფიჭური სატელეფონო მომსახურების 2018-2019 წლების კონსოლიდირებული ტენდერის (CON170000115) სატენდერო დოკუმენტაციის 6.10 პუნქტის „ე“ ქვეპუნქტისა და სახელმწიფო შესყიდვების სააგენტოს გადაწყვეტილების (2019 წლის 9 დეკემბრის ოქმი N5) შესაბამისად და ვადასტურებთ, რომ ჩვენს შორის მიღწეულია შეთანხმება მასზედ, რომ მხარეთა შორის 2018 წლის 1 მარტიდან დადებული სახელმწიფო შესყიდვების შესახებ (CON170000115) №8 ხელშეკრულება გაგრძელდეს ამავე ტენდერით გათვალისწინებული ტარიფებისა და პირობების შესაბამისად და შევიდეს შემდეგი ცვლილებები:

1. ხელშეკრულების მე-2 მუხლის 2.1. პუნქტი ჩამოყალიბდეს შემდეგი სახით:
„2.1 ხელშეკრულების საორიენტაციო ღირებულებაა 360 (სამასსამოცი) ლარი.“;
2. ხელშეკრულების მე-4 მუხლის 4.2. პუნქტი ჩამოყალიბდეს შემდეგი სახით:
„4.2. მომსახურების მიწოდება განხორციელდება 2018 წლის 01 მარტიდან 2020-2021 წლის კონსოლიდირებული ტენდერის გამოცხადებამდე ან/და შესაბამისი ხელშეკრულების გაფორმებისა და პორტირების პროცედურების დასრულებამდე, მაგრამ არაუგვიანეს 2020 წლის 31 მარტის ჩათვლით, ურთიერთშეთანხმების საფუძველზე.“;
3. ხელშეკრულების მე-10 მუხლი ჩამოყალიბდეს შემდეგი სახით:

„10. ხელშეკრულების მოქმედების ვადა

ხელშეკრულება ძალაში შედის მასზე ბოლო ხელმოწერის შესრულების დღიდან და მოქმედებს 2020 წლის 1 მაისამდე.“

სახელმწიფო შესყიდვის შესახებ ზემოთხსენებული ხელშეკრულებით გათვალისწინებული სხვა პირობები რჩება უცვლელი.

წინამდებარე ხელშეკრულება შედგენილია თანაბარი იურიდიული ძალის მქონე ორ იდენტურ ეგზემპლიარად ქართულ ენაზე და წარმოადგენს მხარეთა შორის 2018 წლის 1 მარტს დადებული სახელმწიფო შესყიდვის შესახებ (CON170000115) №8 ხელშეკრულების განუყოფელ ნაწილს.

შემსყიდველი:	**მიმწოდებელ**
სსიპ მცხეთის მუნიციპალიტეტის	
	კორპორატიული გაყიდვების
სოფელ წეროვნის N2 საჯარო	
	დეპარტამენტის უფროსი
სკოლის დირექტორი	
ეთერი ჩიხლაძე	მალხაზ ჟორჟიკაშვილი
_____	_____